საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

*ნოდარ პაპუკაშვილის*
მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**

| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| სამართლის ნორმების ცოდნა | 24 | 25 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 24 | 25 |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 18 | 20 |
| პროფესიული თვისებები | 13 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 7 | 10 |
| პროფესიული აქტივობა | 5 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 91 | 100 |

**სახელი, გვარი:** ვასილ მშვენიერაძე

**თარიღი :** 27.05.21

## ნოდარ პაპუკაშვილი

## შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნოდარ პაპუკაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>კომენტარი</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3">კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, კერძოდ:<br><br>- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე;<br><br>- სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას;<br><br>- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ;<br><br>- საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას;</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | | - კანდიდატის სამუშაო ადგილიდან (შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტიდან) მოწოდებულ ინფორმაციას კანდიდატის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ;<br><br>აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილი) დახასიათებები.<br><br>გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.<br><br>**1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**<br><br>მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.<br><br>შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს თერთმეტი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა |

| | | |
|---|---|---|
| | | კოდექსის 125[2] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ორი, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მერვე ნაწილით გათვალისწინებული ოთხი, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 118[1] მუხლით გათვალისწინებული ერთი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამი, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევა. აღნიშნულ შემთხვევებში შეფარდებული ჯარიმები გადახდილია დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.<br><br>ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა პიროვნული და პროფესიული თვალსაზრისით კეთილსინდისიერებით და საქმისადმი ერთგულებით.<br><br>ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს.<br><br>**2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** |

| | | |
|---|---|---|
| | | გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა სრულყოფილად ღიად და ობიექტურად განსხვავებული მიდგომების გათვალისწინებით. კანდიდატთან მიმართებით დამოუკიდებლობის, მიუკერძებლობის და სამართლიანობის კომპონენტებს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები.<br><br>გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.<br><br>**3. პიროვნული და პროფესიული ქცევა**<br><br>წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას, გულახდილობას და კორექტულობას. კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და |

| | | |
|---|---|---|
| | | გამოკითხული პირები.<br><br>არსებული ინფორმაციით, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში ნოდარ პაპუკაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ განხორციელებულა. კანდიდატი ორ შემთხვევაში მოპასუხე მხარედ მონაწილეობდა სამოქალაქო საქმეში, ერთ შემთხვევაში სასამართლო განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, მეორე შემთხვევაში სასამართლო განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება მხარეთა მორიგების გამო. კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა.<br><br>**4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია**<br><br>კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს პროფესიულ და აკადემიურ წრეებში მაღალი ავტორიტეტით.<br><br>კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მედიით გაშუქდა მის მიერ გაკეთებული განცხადებები, მათ შორის, კონსტიტუციისა და საარჩევნო სისტემის შესახებ. ნოდარ პაპუკაშვილს როგორც ,,ბიზნესქეარ კორპორეიშენის“ დამფუძნებელს გაკეთებული აქვს კომენტარები ,,გუდვილთან“ დაკავშირებით.<br><br>რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის |

| | | |
|---|---|---|
| | | პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.<br><br>5. ფინანსური ვალდებულება<br><br>მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ნოდარ პაპუკაშვილს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით ნოდარ პაპუკაშვილი არის შპს ბიზნეს ქეარ კორპორეიშენის გენერალური დირექტორი და ამასთანავე, 100% წილის მფლობელი. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა თერთმეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ყველა შემთხვევაში დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმა) გადახდილი აქვს კეთილსინდისიერად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.<br><br>საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. |
| **მოსამართლეობის კანდიდატის** | **შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის** | |

| მიხედვით | | | კომენტარი |
|---|---|---|---|
| კრიტერიუმი | მიღებული ქულა | მაქსიმალური ქულა | |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 24 | 25 | <u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სტატიის ანალიზს და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u><br><br>აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ნოდარ პაპუკაშვილი სიღრმისეულად ფლობს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით. მას სწორად ესმის გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსი და დანიშნულება. წარმოდგენილი სტატიის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანდიდატს შესწევს უნარი სწორად მოიძიოს კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული მასალა, სწორად დასვას სამართლებრივი პრობლემა და სიღრმისეულად განიხილოს მისი გადაწყვეტის გზები. გააჩნია დასმული საკითხის ზუსტად წარმოჩენისა და საგნობრივი ანალიზის, თანმიმდევრული მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გამოტანის უნარი. გასაუბრების შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ სამართლის ფილოსოფიურ/თეორიულ საკითხებზე დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები, იყო მოცულობითი და ძალიან საინტერესო. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპების და არსებითი უფლებების ბუნებასა და მათი განხორციელების წესთან დაკავშირებით კანდიდატის მსჯელობაზეც. კანდიდატის პასუხები იყო ამომწურავი ადამიანის უფლებათა განხორციელების ევროპულ რეგულაციებთან შედარებითი ანალიზისას.<br><br>კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ ის ეცნობა ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, სრულყოფილად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 24 | 25 | <u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სტატიის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u><br><br>მიმაჩნია, რომ შესწავლილ სტატიაში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია და დასაბუთებულია კვალიფიციურად. თვალსაჩინოა, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. კანდიდატს გააჩნია თანმიმდევრული მსჯელობისა და განხილული მასალის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გაკეთების უნარი. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | შეძლო სამართლებრივი საკითხების განხილვისას საკუთარი მოსაზრების, ცხადად და არგუმენტირებულად დასაბუთება და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით განმტკიცება.<br><br>ნოდარ პაპუკაშვილის 13 წლიანი პროფესიული გამოცდილება ძირითადად დაკავშირებულია კერძო სექტორში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობასთან. კანდიდატს სამოსამართლო პრაქტიკა არ გააჩნია. |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 18 | 20 | <u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სტატიის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u><br><br>შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით, დამაჯერებლად, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმის უნარი. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი აზრს გადმოსცემს როგორც წესი თანმიმდევრულად, ლოგიკურად გამართულად.<br><br>კანდიდატის სტატია შესრულებულია გასაგები ენით და იკითხება ადვილად. აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.<br><br>ამ მხრივ კანდიდატს პოზიტიურად ახასიათებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირებიც. |
| პროფესიული თვისებები | 13 | 15 | <u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u><br><br>აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ნოდარ პაპუკაშვილი პრინციპული და შედეგზე ორიენტირებული პიროვნებაა. მუდმივად ცდილობს ცოდნის გაღრმავებას და პრაქტიკულ გამოცდილებას ამდიდრებს თეორიული ცოდნით. |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 7 | 10 | <u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u><br><br>კანდიდატს ახასიათებენ როგორც მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანს, რომელიც არის უამრავი სამეცნიერო სტატიისა და პუბლიკაციის ავტორი. აგრეთვე აღნიშნავენ, რომ აქვს გამოცდილება როგორც კერძო ასევე, საჯარო სექტორში მუშაობის.<br><br>2003 წლიდან შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატი მონაწილეობდა სამართლებრივი საკითხებზე მოწყობილ ექვს ტრენინგში.<br><br>მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროფესიული აქტივობა | 5 | 5 | <u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u><br><br>კანდიდატი არის ორი სამართლებრივი წიგნის თანაავტორი და გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო სტატია. |
| ქულათა ჯამი | 91 | 100 | |

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ხელმოწერა: